სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 06

2017 წ. "19" 04

ქ.თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსათვის შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 14 დეკემბრის №139 გადაწყვეტილებისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28[7] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
2. სააპელაციო საბჭოს 2017 წლის 19 აპრილის №3 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
აპოლონ სილაგაძე

მდივანი
ნინო დობორჯგინიძე